გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 137

2020 წლის 9 ოქტომბერი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2019 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2019 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2019 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

არასამეწარმეო არაკომერციული *non-production noncommercial*

იურიდიული პირი *legal person*

„გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“

Gori Municipality Improvement Agency

იურიდ. მისამართი: საქართველო, გორი, სტალინის გამზირი№16.

ფაქტ. მისამართი: საქართველო, გორი, ცხინვალის გზ. მე-2 კმ

№ „520“ „[illegible]“ „[illegible]“ 2020 წელი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თქვენი 2020 წლის 14 სექტემბრის №03/226 (კანცელარიის რეგისტრაცია: 14.09.2020 №2338) წერილის პასუხად წარმოგიდგენთ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“-ს მიერ 2019 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშს, სააგენტოს განყოფილებების მიხედვით (იხილეთ დანართი №1).

დანართი – 6 (ექვსი) ფურცლად.

პატივისცემით,

(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“-ს

დირექტორი: ბაჩანა გვიანიშვილი

[illegible]

დანართი №1

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო"-ს მიერ 2019 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში, სააგენტოს განყოფილებების მიხედვით

1. დასვენების პარკი „ახალბაღი"-ს განყოფილება

- პარკის ტერიტორიის სისტემატურ რეჟიმში დასუფთავება, კრეჭვა, მორწყვა, მოვლა-პატრონობა.
- პარკის ტერიტორიაზე განთავსებული ზოოპარკის დასუფთავება, მოვლა-პატრონობა, ცხოველების კვება.
- გამოიცვალა და აღდგა ახალბაღის ტერიტორიაზე დამონტაჟებული გარე-განათების დამწვარი ნათურები.
- პარკის ტერიტორიაზე ჩატარდა შეწამვლითი სამუშაოები.
- შემოიღობა ზოოპარკი და მოხდა დათვის ვოლიერის გადიდება რკინის ღობით.
- ახალი ნარგავების გადასარგავად დაიბურღა 100 ორმო და შეტანილი იქნა მიწა.
- გადაიბელა და მოიჭრა ამორტიზებული ხეები.
- მშვიდობის ხეივნის ტერიტორიაზე დამონტაჟდა ახალი სანათები.
- ახალბაღის ტერიტორია მოირთო საახალწლო განათებებით.
- შემოტანილი იქნა 30მ² მიწა, სასუქი, პატივი 40მ² რომელიც შეტანილი იქნა ნარგავებში და ყვავილებში.
- მოხდა 9 (ცხრა) ერთეული ძველი ატრაქციონის დემონტაჟი.
- ცენტრალურ ნაწილში დამონტაჟდა 18 ცალი ახალი დიოდური სანათი
- შემოყვანილი იქნა ტექნიკური წყლის მილი სკვერების გასარწყავიანებისთვის.
- დაწყებულია ახალი ატრაქციონებისთვის საძირკვლის მომზადების სამუშაოები.

2. დასუფთავების განყოფილება

- დასუფთავების განყოფილების მიერ ყოველდღიურად იგვება ქალაქის 55 ქუჩა, დაგვილი მასის გატანა ხდება სატვირთო ავტომობილების საშუალებით ნაგავსაყრელზე. აღნიშნული ავტომობილები ორ - ორი მუშით ყოველ დილით ქალაქის ცენტრალური ქუჩების დასუფთავების შემდეგ აგრძელებენ მუშაობას კერძო დასახლებებში გრაფიკით დადგენილი დღეების მიხედვით და ნაგავსაყრელზე გააქვთ მოსახლეობიდან გამოტანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენი;
- რეგულარულად იწმინდება სანიაღვრე არხები;
- შემოდგომის სეზონზე, ფოთოლცვენის დროს, იქ სადაც მუდმივი წყლის დინება არ არის თითქმის ყოველდღიურად იგვება არხები და სუფთავდება დაგვილი მასისგან, ასეთი ქუჩებია: სტალინის გამზირი, ნინოშვილის ქუჩა, აღმაშენებლის ქუჩა, რუსთაველისა და როზაქიძის ქუჩები.
- რეგულარულად იწმინდება ბორდიურის ძირები, ფეხით სავალი ნაწილები სუფთავდება მტვრისგან და ბალახისგან, ყოველდღიურად იგვება ქალაქში მდებარე ხიდები.
- ქალაქის ტერიტორიაზე მინიმუმამდე შემცირდა სტიქიური ნაგავსაყრელები, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ქალაქის გარე უბნებში მოზნეული მსუბუქი მასის აკრეფა პოლიეთილენის ტომრებში;

- ქალაქის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იყო 480 ნაგავშემკრები ურნა. წლის განმავლობაში მოხდა, როგორც დაზიანებული ურნების ამოცვლა, ასევე ახალი ურნების დამატება და დღეის მდგომარეობით ქალაქის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ განთავსებულია 540 ცალი ნაგავშემკრები ურნა, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ქალაქის სისუფთავის მდგომარეობა. დღის პირველ ნახევარში ქალაქის დასუფთვებას ემსახურება 8 ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომობილი და 3 ერთეული ნარჩენების ურნების დამცლელი სპეციალიზებული ავტომობილი ორ - ორი მუშით, ასევე დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით დღის მეორე ნახევარში მორიგედ მუშაობს 2 ერთეული სპეციალიზებული ავტომობილი ორ - ორი მუშით და 1 ერთეული თვითმცლელი ავტომობილი 1 მუში, რაც აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს.
- დასუფთავების განყოფილება ემსახურება გორის მუნიციპალიტეტის 76 სოფელს, სადაც განლაგებული იყო 1170 ნარჩენების ურნა. ზოგიერთ სოფელში დაემატა ურნები და დღეის მდგომარეობით 76 სოფელში განლაგებულია 1277 ნაგავშემკრები ურნა. სოფლებში მომსახურება ხდება 3 ერთეული სპეციალიზებული ავტომობილით, 3 მუშით, დამტკიცებული გრაფიკით ყოველ მე-4 დღეს.
- პერიოდულად, პოლიეთილენის ტომრების გამოყენებით მუშების დახმარებით, ხდება სოფლებში მოზნეული მსუბუქი მასის აკრეფა. 2019 ნოემბრიდან განვლილ პერიოდში აღნიშნული სამუშაოები განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილ სოფლებში, შემდეგი პერიოდულობით: ტყვიავი - 3 ჯერ, მეჯვრისხევი - 3 ჯერ, ვარიანი - 2 ჯერ, შინდისი - 3 ჯერ, ქვახვრელი - 3 ჯერ, ხიდისთავი - 2 ჯერ, ასევე საჭიროების მიხედვით ვასუფთავებთ სოფელ გორიჯვრის და წმინდა გიორგის ეკლესიისაკენ მიმავალ საავტომობილო გზას და მის მიმდებარე ტერიტორიას.
- გაწმენდილი და ლიკვიდირებული იქნა, გორში და მუნიციპალიტეტის სოფლებში, მერიიდან შემოსული წერილების და ჩვენი საგენტოს მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებული სტიქიური ნაგავსაყრელები (ჯამში 14 ლოკაცია).
- 2019 წელს გორიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან გატანილია დაახლოებით 21 916 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი და დაგვილი მასა.

3. სასაფლაოების მოწყობისა და მართვის განყოფილება

- 2019 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში სულ დაიკრძალა - 267 გარდაცვლილი, არსებულში დაიკრძალა - 170 გარდაცვლილი, თვითმმსახურებით დაიკრძალა – 28 გარდაცვლილი.
- გაიცა - 69 ახალი ადგილი.
- დამატებითი ფართით სარგებლობისთვის ჯამში გაიცა 46 $მ^3$ მიწის ნაკვეთი.
- სისტემატიურად ითიბება სავალი გზების გვერდულები, სასაფლაოს ტარიტორიაზე შეტანილი და მოსწორებული იქნა მიწა და ხრეში, აღმოსავლეთით ავტოსადგომის გაფართოების, ხოლო სამხრეთით გზის სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით.

4. სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილება

- ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოხდა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების სახურავის შეკეთება.
- ქ. გორში მოხდა არსებული სკვერების მოწესრიგება, კერძოდ - სკამების შეკეთება, დაზიანებული მილებისა და ონკანების შეცვლა და მოსაპირკეთებელი ფილების მოწყობა.
- ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის ადმ/ერთეულში შემავალ სოფლებში მოხდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელების აღდგენა - მოწესრიგება.
- ქ. გორში სტალინის გამზირზე და ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებულ საფეხმავლო გზებზე, მოხდა დეკორატიული ბორდიურებისა და მოსაპირკეთებელი ფილების მოწყობა.
- ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, საავტომობილო გზებზე მოხდა სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერების მოწყობა.

- სოფელ ხიდისთავში, კარალეთში და საქაშეთში არსებულ საფეხბურთო მოედნებზე მოხდა დაზიანებული მავთულ-ბადის ღობის აღდგენა და შეცვლა ახლით.
- ქ. გორში, გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, გალაქტიონის სკვერში მოხდა ვარდების ხეივნის აწყობა - მონტაჟი.
- სოფელ არგოში, ნიკო ლომოურის სახლმუზეუმში ჩატარდა სამშენებლო – სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, საავტომობილო გზებზე ქვეითთა გადასასვლელებზე და სიჩქარის შემაფერხებელ ბარიერებთან მოეწყო საგზაო ნიშნები.
- ქ. გორში, კულტურისა და დასვენების პარკ-ახალბაღის ტერიტორიაზე მოხდა დათვის ვოლიერის მოწყობა.
- ქ. გორში არსებულ სანიაღვრე არხებზე მოეწყო ცხაურები.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოხდა დაზიანებული რკინის სანაგვე ურნების აღდგენა - შეკეთება და ადგილზე განთავსება.
- ქ. გორში, წმინდა გიორგის სახელობის, გორიჯვრის ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე მოწყობილ ქვის ცვენის საწინააღმდეგო ბადეებში, პერიოდულად ხდება ფერდობებიდან ჩამოცვენილი ნაშალის მოცილება და გასუფთავება.
- ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში მოხდა სანიაღვრე და შიდა სარწყავი არხების წმენდა -მოწესრიგება.
- ქ. გორში, სხვადასხვა ლოკაციებზე, შეკეთდა საბავშო გასართობ სივრცეებში არსებული საქანელები.

5. გამწვანებისა და სანერგე მეურნეობის განყოფილება

- დაიბარა სტალინის სახელობის, მე-3 საჯარო სკოლის, თეატრის, შ. რუსთაველის, გიგის წყარო, 9 აპრილის, დიდების მუზეუმის და გორის უნივერსიტეტის წინ მდებარე სკვერები და გაზონები.
- შეიკირა ჭავჭავაძეზე, აღმაშენებელზე, მშვიდობის გამზირზე, სტალინის გამზირზე და სუხიშვილის ქუჩაზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები.
- გაისხლა ქალაქის სკვერებსა და გაზონებში მრავალწლიანი ნარგავები, ასევე დეკორატიულად გაიკრიჭა მარადმწვანე ბუჩქები და ლუგუსტრუმები.
- სისტემატიურად მიმდინარეობს სკვერებისა და გაზონების თიბვა ქალაქსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში.
- სუფთავდება სარეველა ბალახებისგან ფეხით სავალი ბილიკები.
- მიმდინარეობს ჩამოცვენილი ფოთლებისგან გასუფთავება ქალაქში არსებული სკვერების და გაზონების.
- ქართლის სტადიონის ტერიტორიაზე დაირგო ლუგუსტრუმები.
- სისტემატიურად მიმდინარეობს ქალაქში არსებული მრავალწლიანი ნარგავებისა და ყვავილების მორწყვითი სამუშაოები.
- 2020 წელს გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ განცხადებებზე ხეების მოჭრა-გადაბელვის თაობაზე მიმდინარეობს ეტაპობრივი სამუშაოები როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში.
- მოხდა შეშის დარიგება სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე.
- მოწყობილ იქნა ერთწლიანი ყვავილნარი: ი.ბ. სტალინის სახელობის სკვერში, სტალინის N29 ბინასთან მდებარე გაზონში, დიდების მუზეუმთან, ფოსტის წინ, საკრებულოს შენობის წინ, თეატრის ბაღში და წინ მდებარე სკვერში, მუნიციპალიტეტის მერიის წინ და ბარათაშვილის სკვერში ჯამში 8400 ცალი.
- ფოსტის შენობის წინ და შიოს წყაროზე დაირგო მრავალწლიანი მარადმწვანე ნარგავები.
- მე-3 საჯარო სკოლასთან არსებულ სკვერში, გიგის წყაროზე არსებულ სკვერში და სტალინის 31-ში, და შიოს წყაროსთან დაითესა კოინდარი.
- სტალინის ქუჩის გაზონებში არსებულ მრავალწლიანი ნარგავების ძირებში დაიყარა მულჩი, ასევე სამხატრო სკოლასთან არსებულ წრეში და სამხარეო სამმართველოსთან არსებულ ნერგის ძირში იქნა დაყრილი მულჩი.

- მოხდა მიწის შეტანა მოსწორება ჭალაში საჭიდაო დარბაზთან, რომელაშვილების 186-ის წინ და კომბინატში არსებულ სკვერებში.
- ი.ბ. სტალინის საელობის სკვერში და გალაქტიონის ხეივანში ვარდების გასხვლა ფორმირება.
- ჰერბიციდით შეიწამლა სამხატრო სკოლის ეზო, მე-3 საჯარო სკოლის სკვერის წინ გაზონი, დიდების მუზეუმის ტერიტორია, ჭალაში სპორტის სასახლის ეზო და მერიის წინ მდებარე სტადიონის ტერიტორია.
- მოხდა სანერგე მეურნეობის ტერიტორიის დასუფთავება, მოიხნა და გაფხვიერდა მიწა.
- მიმდინარეობდა ხე-მცენარეების გამარგვლა, გათოხვნა, მორწყვა, გაიკრიჭა და გაისხლა ლუგუსტრუმები, ვარდები და სხვადასხვა მერქნიანი მცენარეები.
- სათბურიდან გამოტანილ იქნა მცენარეები: კატალპა, კვიპაროსი, ტუია, ვარდი ღვია.
- ჩატარებულ იქნა სხვადასხვა მცენარეების მავნებლების საწინააღმდეგო წამლობა. მოიწამლა გზები, კატალპა, მუხა და სხვა დაავადებული მცენარეები. შეტანილ იქნა მინერალური და აზოტოვანი სასუქები, მოირწყვა აღნიშნული მცენარეები, მოიხრეშა და მოსწორდა სანერგე მეურნეობის მისასვლელი გზა. შემოიღობა და განახლდა ტერიტორიის დაზიანებული ღობე.
- სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე გაკეთდა კვალსათბური, მოხდა მიწის შეტანა და დაითესა შემდეგი სახის მცენარეები: კედარი, ვერცხლისფერი ნაძვი, კვიპაროსი, ტუია, ასევე დაითესა სხვადასხვა სახის მერქნიანი მცენარეები.
- ქალაქის ტერიტორიაზე მოხდა მერქნიანი მცენარეების და ბუჩქების თესლის აღება დაკალმება სხვადასხვა სახის მცენარეების: ვერცხლისფერი ნაძვის, უთხოვარის, ბზის, ჭანჭყატის ნეკერჩხლის და ა.შ
- დამატებით მოხდა ნაკელის შეტანა და გაშლა 0,80ჰა ფართობზე რომელიც მოიხნა და დამუშავდა.

6. ტრანსპორტის განყოფილება

სააგენტოს სარგებლობაში არსებული ტრანსპორტიდან დასუფთავების სამსახურს ემსახურება ექვსი ერთეული სპეც. ტექნიკა (რობოტი) ქალაქიდან და სოფლებიდან ნარჩენების გასატანად. ქალაქის მოსახლეობას ზარის პრინციპით ემსახურება ხუთი ერთეული გაზიკის ტიპის თვითმცლელი და გაზელის მარკის სამი ერთეული ავტომობილი, ქალაქის ქუჩებში ფოთლების მოსაგროვებლად გამოყოფილია მერსედესის მარკის სპეციალური მტვერსასრუტი, ქუჩების მორწყვას საჭიროების მიხედვით ემსახურება ორი ერთეული გაზელის მარკის ავტომობილი, რომელთა ბარის გადაწყობის შემდეგ შესაძლებელია ზამთრის პერიოდში თოვლის გახვეტა და ტექნიკური მარილის მობნევა.
ზამთრის თვეებში მარილის მოსაბნევად საჭიროების მიხედვით ქალაქში გასული იქნა ტექნიკა და მარილი მობნეული იქნა საპატრულო ეკიპაჟის მიერ მითითებულ ადგილებზე.
მშენებლობის განყოფილებას ემსახურება სამი ერთეული ტექნიკა: ორი კამაზის და ერთი ფორდის ტიპის თვითმცლელი, გრეიდერი და სამი ექსკავატორ - დამტვირთველი, ბობკატი, უაზი, ორი ერთეული ფორდის ავტომობილი.
ასევე გვაქვს სპეც. ტექნიკა სამი ამწე კალათი, რომელთაგან ორი ემსახურება გამწვანების, ხოლო ერთი განათების განყოფილებას.
განყოფილების მიერ ტრანსპორტს პერიოდულად უტარდება მიმდინარე დათვალიერება და რემონტი, იცვლება ან ემატება ძრავის და ჰიდრავლიკური ზეთები. ტრანსპორტის განყოფილებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი და გრაფიკი, როგორც სოფლებში, ასევე უბნებში მომსახურე და მორიგე ტრანსპორტისათვის. ყველა ტრანსპორტზე დაყენებულია აგა-ის სისტემა, იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებზეც ვერ მონტაჟდება აგა-ის სისტემა - გვაქვს ნომრიანი ბარათები. რომელიც ელექტრონულად აღრიცხავს ტრანსპორტში ფაქტიურად ჩასხმული საწვავის რაოდენობას, რომელიც აისახება სპეციალურ ვებ გვერდზე. ასევე ყველა სატრანსპორტო საშუალებას დამტკიცებული აქვს საწვავის ხარჯვის თვიური ლიმიტი. კეთილმოწყობის სააგენტოს ბალანსზე და დროებით სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე და სპეციალურ ტექნიკაზე ჩატარებულია ექსპერტიზა და დადგენილია

საწვავის ხარჯვის ნორმები, ასევე ვსარგებლობთ ფაქტობრივი ხარჯისა და ცალკეული მარკის სატრანსპორტო საშუალების საწვავის ხარჯვის ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. რის საფუძველზეც ხდება გახარჯული საწვავის ჩამოწერა.

სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე ყველა ტრანსპორტზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი მძღოლები. რომელთანაც გაფორმებულია თანხმობის ბარათი და მიღება ჩაბარების აქტი ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის აღწერით.

2020 წლისათვის განყოფილების მიერ განსაზღვრული იქნა განყოფილებების მიხედვით წლის განმავლობაში შესაძენი საწვავის, ზეთების, საპოხი მასალების, აკუმულატორის, საბურავების, ანტიფრიზის და სხვა მასალების რაოდენობა. სპეც. ტექნიკა მომზადდა და ჩაუტარდა მიმდინარე რემონტი, რის შემდგომ ავტოტრანსპორტს ჩაუტარდა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება.

მიმდინარე წელს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გასატარებლად გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები: მწყობრში იქნა მოყვანილი ყველა ტექნიკა, კერძოდ ყველა მანქანას ჩაუტარდა სავალი ნაწილის სარემონტო სამუშაოები, შეიცვალა სხვადასხვა ნაწილები, კამაზის მარკის თვითმცლელ ავტომობილს გაურემონტდა ძრავი, ნაგავმზიდ ტექნიკას გაურემონტდა გადაცემათა კოლოფი და ელექტრო მოწყობილობა. ხელშეკრულებები გაფორმდა ორგანიზაციებთან, რომლების გვაწვდიან და ადგილზე ცვლიან ზეთებს და შესაბამისად საწვავის, ზეთის და ჰაერის ფილტრებს, ასევე მომწოდებლების მიერ ხდება საბურავების შეცვლა.

2020 წელს GPS სისტემები დამონტაჟდა სააგენტოს ავტოტრანსპორტზე და სპეც. ტექნიკაზე, რამაც მოგვცა ტრანსპორტის მოძრაობის და საწვავის ხარჯვის გაუმჯობესებული კონტროლის საშუალება.

აღდგენილი იქნა მწყობრიდან გამოსული სინოტრუქის მარკის სპეც. ტექნიკა.

პანდემიის დროს სპეც -ტექნიკას საჭიროების მიხედვით ჩაუტარდათ დეზინფექცია. საჭიროების მიხედვით ქალაქში ტარდებოდა და ეხლაც მიმდინარეობს სადეზინფექციო სამუშაოები.

ზაფხულის პერიოდში ყოველდღიურად ხდებოდა ქალაქში ტრანსპორტის სავალი გზის მორწყვა.

მძღოლებს პერიოდულად ურიგდებათ სპეც. ტანსაცმელი, ხელთათმანები, პირბადეები, სპეციალური დამცავი ფარები და სადეზინფექციო ხსნარი.

7. პარკირების განყოფილება

2020 წლის სექტემბრის თვის მდგომარეობით გადმოცემულია 140 პარკირების ადგილი, დაახლოებით 1400 ავტომობილისთვის, მათ შორის 19 ტაქსის - 75 მსუბუქი ტაქსისთვის და 47 შშმ. პირთათვის განკუთვნილი.

2019 წლის 1 ნოემბრიდან, 2020 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით პარკირების ინსპექტორების მიერ შედგენილია 3860 საჯარიმო ოქმი, აქედან ნებაყოფლობით გადახდილია 2530 (დაწერილი ჯარიმების 65%).

საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს ჯარიმასთან ერთად ერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. მონიტორინგის განყოფილება

მონიტორინგის განყოფილება:

- ახორციელებს მონიტორინგს სააგენტოს წესდებით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების სრულყოფილ შესრულებაზე;
- უწევს მონიტორინგს სააგენტოში დასაქმებულების (როგორც სამტატო ერთეულით, ასევე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულები) მიერ მათთვის სააგენტოში მოქმედი წესდებით, შინაგანაწესით და დებულებით განსაზღვრული მოვალეობების სრულყოფილ შესრულებას;
- უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ დაგეგმილი სამუშაოების ორგანიზებასა და მონიტორინგს;
- ახორციელებს მონიტორინგს სააგენტოს თითოეული განყოფილების მიერ დაგეგმილ, შესასრულებელ და შესრულებულ სამუშაოებზე;
- ახორციელებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებაზე მონიტორინგს.
- შეისწავლის სააგენტოში შემოსულ კორესპონდენციას და კომპეტენციის მიხედვით, შესაბამისი განყოფილების მეშვეობით, უზრუნველყოფს წერილში მოთხოვნილი სამუშაოების შესრულებას.

2019 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში, სააგენტოში სულ შემოსულია 627 წერილი, აქედან შესრულებულია 472 წერილი, უარი ეთქვა 45 წერილზე, ხოლო დარჩენილ 110 წერილში მოთხოვნილი სამუშაოები ეტაპობრივად შესრულდება.

9. გარე და დეკორატიული განათების განყოფილება

- ყოველდღიურად საღამოს საათებში ვახორციელებთ ქალაქის შემოვლას ღამის განათების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, რეგულარულად გვაქვს კონტაქტი მერის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში. აღდგენილია დაზიანებული ხაზები სოფლებში: სკრა, ხიდისთავი, კარალეთი, ტინისხიდი, ფლავისმანი, ტირძნისი, ნიქოზი, დიცი და სხვა სოფლებში. ასევე სისტემატიურად მიმდინარეობს დაზიანებული მაგნიტური გამშვებისა და ელ. გამშვების შეცვლა(აღდგენა) ქალაქსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში.
- 2019 წლის დეკემბრის თვეში შესრულდა საახალწლო სამუშაოები: მოირთო ნაძვისხე და ცენტრალური ქუჩები, შემდგომ მოხდა დემონტაჟი.
- ასევე მერის წარმომადგენლების მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში შეიცვალა და დაემატა სანათები.
- სტალინის ქუჩაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელებში მოეწყო განათება.
- მოხდა თეატრის სკვერში არსებული ძველი დეკორატიული განათების შეცვლა განახლება.
- რეაბილიტირებულია სკვერებისა და შადრევნების განათება. დაყენდა და შეიცვალა დეკორატიული ბურთულები სკვერებში: სტალინის სკვერის, თეატრის, შიოს წყაროს, მე-3 სკოლის სკვერში, გორგასლის სკვერში, კაჩინსკის სკვერში, კვერნაკის სკვერში, ფლავისმანის სკვერში და სხვა სკვერებში. მოხდა ბარათაშვილის სკვერთან არსებული შადრევნის აღდგენა და ლედ პროჟექტორებით განათება.
- მთლიანად შეიცვალა ჭალაში არსებული სკვერების განათებები და შეიცვალა 12 ცალი ძველი სანათი ახალი დიოდური სანათით.
- მოხდა რაიონებში არსებული საჭიდაო მოედნების აღდგენა განათება.
- მთლიანად შეიცვალა საკრებულო ადმინისტრაციული შენობაზე არსებული დიოდური სანათები.
- საანგარიშო პერიოდში სოფლებსა და ქალაქში შეცვლილ იქნა 1342 ცალი ეკო ნათურა, სოდიუმის ნათურა 132 ცალი, დროსელი 130 ცალი, სანათი 190 ცალი, სადენი 5800 მეტრი, იზუ იგნატორი 70 ცალი, დეკორატიული ბურთულა 34 ცალი, მაგნიტური ჩამრთველი 47 ცალი, ავტომატიური ამომრთველი 48 ცალი, ლედ ნათურა 175 ცალი, ლედ პროჟექტორი 123 ცალი, ლედ სანათი 158 ცალი, ფოტორელე 20 ცალი, მასრა ფაიფურის 167 ცალი და სხვა დამხმარე ელ მასალები.